ავტობიოგრაფია

მე, თეიმურაზ სიხარულიძე, დავიბადე 1962 წლის 07 მარტს, ქ.სამტრედიაში.

მამა, გურამ სიხარულიძე, დაბადებული 1934 წლის 05 ნოემბერს, გარდაიცვალა 2005 წლის 04 ნოემბერს.

დედა, ცისანა სიხარულიძე, დაბადებული 1941 წლის 25 მაისს, პენსიონერია.

მეუღლე, მარინე თუთაშვილი, დაბადებული 1968 წლის 09 აპრილს, მუშაობს სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ადამიანური რესურსებისა და საქმის წარმოების ჯგუფის საქმის მწარმოებლის პოზიციაზე.

შვილი, ანასტასია სიხარულიძე, დაბადებული 2006 წლის 26 ივლისს არის ქ.თბილისის 52-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.

მე, 1968 წელს შევედი და 1978 წელს დავამთავრე ქ.სამტრედიის №4 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. 1979 წელს ჩავირიცხე და 1984 წელს დავამთავრე ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

1984 წლიდან 1998 წლებში ვმუშაობდი პროკურატურის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე, კერძოდ, სტაჟიორად, გამომძიებლად, უფროს გამომძიებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად, პროკურორის თანაშემწედ, პროკურორის მოადგილედ, ჩოხატაურის, ბაღდათის, ხონის რაიონების პროკურორად, სამტრედიის ტრანსპორტის სარაიონთაშორისო პროკურორად, გენერალური პროკურატურის სხვადასხვა განყოფილებების პროკურორად.

1999 წელს ჩავაბარე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები. აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 1999 წლის 08 ივლისის დადგენილებით ამირჩიეს აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 12 მარტის №284 განკარგულებით 2002 წლის 20 მარტიდან მივლინებულ ვიქენი თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 31 ოქტომბრის №895 ბრძანებულებით გავნთავისუფლდი აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და დამეკისრა აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 18 იანვრის №36 ბრძანებულებით გავნთავისუფლდი აფხაზეთის ა.რ.

უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და დამეკისრა ადიგენის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება ჩემი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 19 აპრილის №1/85-2007 გადაწყვეტილებით განმწესებულ ვიქენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 14 თებერვლის №1/11-2006 გადაწყვეტილებით მივლინებულ ვიქენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 16 აპრილის №1/63 გადაწყვეტილებით განვთავისუფლდი ადიგენის ლიკვიდირებული რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და დამეკისრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 01 ოქტომბრის №1/256 გადაწყვეტილებით განვთავისუფლდი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 09 ოქტომბრის №1/281 გადაწყვეტილებით დავინიშნე ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 09 ოქტომბრის №1/297 გადაწყვეტილებით მივლინებულ ვიქენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამართლის საქმეთა პალატაში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 19 ნოემბრის №1/301 გადაწყვეტილებით სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დამეკისრა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 15 თებერვლის №1/42 გადაწყვეტილებით ამ თარიღიდან დამეკისრა ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 05 ივნისის №1/185 გადაწყვეტილებით დავინიშნე ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის №1/21 გადაწყვეტილებით, 2018 წლის 18 იანვრიდან განმწესებულ ვიქენი ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

მყავს მეუღლე და ქალიშვილი.

თ. სიხარულიძე

30.05.2019